



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო კ მ ი N5

ქალაქი ბათუმი

2023 წლის 19 მაისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე.

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- | | | |
|-------------------|---|--|
| ირაკლი თავდგირიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ასლან ბალაძე | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლევან ბერიძე | - | ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

ლევან დოლიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნაზი ფუტყარაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარაშვილი	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ნინო ცხვარაძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიმიგური	- საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	- საკრებულოს წევრი;
თეკლა კავაზაშვილი	- საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	- საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	- საკრებულოს წევრი;

კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი;

რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

არ ეს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ეს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - მაია ზოიძე;
- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასშტაბის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

- პრესისა და მასშედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ და განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხი. დასვა კითხვა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე მიესალმა ქალაქის მერს, დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დიდი ბედნიერებაა საკრებულოს სხდომაზე ქალაქ ბათუმის მერის დასწრება, რადგან შესაძლებელი იქნება კითხვებზე კომპეტენტური პასუხების გაცემა. ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 და მე-6 საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხები აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე უნდა იქნეს წარმოდგენილი განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“-ის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი რუსუდან ჟოჟაძე)

საკითხი 2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „აჭარის ფეხბურთის ფედერაცია“-სათვის სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და დადგენილების ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 28 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

საკითხი 6. „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 33

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, ა. ბალაძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ნ.დუმბაძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიმიგური, ვ.დარჩია, ნ. ფუტყარაძე, მ.ქობულაძე, ა.გვიანიძე, ა. ვარშალომიძე, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე.ზარია, კ.ქაშიბაძე, რ.ხარაზი, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარაშვილი, თ. კავაზაშვილი)

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს წევრი თეკლა კავაზაშვილი გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის უკანასკნელ გადაწყვეტილებას ბათუმში უკანონო მშენებლობების ამნისტირებასთან დაკავშირებით, რომელიც ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეულია. რამდენიმე ხნის უკან ამ დარბაზში ზარზეიმით გაიხსნა ლუკა ასათიანის პორტრეტი და დარწმუნებულია ლუკა ასათიანის დროინდელი თვითმმართველობა ბევრად უფრო წინ იყო თავისი არსით და ღირებულებებით, ვინაიდან ის, რაც ახლა მოხდა არსს უკარგავს თვითმმართველობას. აზრი არ აქვს მათი საკრებულოს დარბაზში სხდომაზე ყოფნას და გადაწყვეტილებების მიღებას, თუ პარლამენტმა არ გაითვალისწინა ბათუმელების აზრი ან არ მოიკითხა ბათუმის მერიის პოზიცია და არ ჩაატარა საჭირო გამოკითხვები ამ საკითხებზე, მაშინ როცა ზედამხედველობა და კონტროლი ეხება მუნიციპალიტეტს. სამი თვის წინ ყველას კარგად ახსოვს თურქეთში მომხდარი ტრაგედიის შედეგად ქალაქი დაინგრა, სადაც ამნისტიცია შეეხო. ეს არის მორიგი კორუფციული გარიგება.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდო-
მაზე საუბარი იყო კორუფციაზე, უმრავლესობას არ მოსწონს, თუმცა გააგრძელებს
ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რაც ხდება ამ ქალაქში. ძველ ბათუმში განათების
სისტემაზე გადახდილია 29 მილიონი, ბაგრატიონის ქუჩაზე არ არის დასრულებული
ინფრასტრუქტურა, ქალაქის მერმა ახალი ავტომობილი შეიძინა, როცა უპოვართა
თავმესაფარი ვერ ააშენა. მან დასვა კითხვა: ქალაქის მერი ახალი ავტომობილით
დადის, როცა ქალაქში კატასტროფული მდგომარეობაა, ასევე ზღვის სანაპირო ზოლი
წაღებულია და ქალაქის მერი საუბრობს ტურისტულ სეზონზე.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ უპასუხა, რომ ეს არის იმ ქალაქის მერი,
რომელიც წელს ექვს მილიონ ტურისტს ელოდება.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ მოუწოდა კოლეგებს საკრებულოს
რეგლამენტის დაცვისკენ და კოლეგიალურობისკენ.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ აღნიშნა, რომ დღეს იხილება საკითხი
სესხის აღებასთან დაკავშირებით და ნებისმიერი ასეთი ქმედება ამ ქალაქისთვის
დადებითი მომტანია, მიესალმება, თუმცა გაახსენა 8-9 მარტის აქციები და
პარლამენტის მიერ თითქმის მიღებული რუსული კანონი. მან დასვა რიტორიკული
კითხვა: ხომ არ არიან გადარჩენილი აგენტის იარაღისგან, რომ ეს კანონი არ გავიდა,
სულ მცირე დააკლდა იმას, რომ სესხი ვერ აგველო, ან თუ კი ავიღებდით აგენტებად
შევირაცხებოდით. ასევე საკრებულო არ არის ის ადგილი, სადაც შეიძლება ასეთი
ტიპის პრობლემა გადაწყდეს, მაგრამ თუ უფიქრია იმაზე, რომ 965 დღეა ირაკლი
ბებუა სასჯელს იხდის სოხუმის ციხეში ერთი მიზეზით, რომელსაც პატრიოტიზმი
ჰქვია.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ დღეს საკრებულოს სხდომას
ესწრება ფრანგული სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები, რომლებიც მოქალაქეობის
ფარგლებში გადიან და ეცნობიან ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელთა
ყოფნა მნიშვნელოვანია. ბათუმი ეკონომიკური სექტორის მიხედვით არის
ტურისტული. სასტუმროების, ბინების, კაფე-ბარების, ტურისტული კომპანიების და
სხვადასხვა ობიექტების მფლობელები წლის განმავლობაში ელოდებიან სეზონს.
ადგილობრივი თვითმმართველობა ღირსეულად უნდა შეხვდეს სეზონს და
ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ კომფორტული იყოს ჩვენი თანაქალაქელების
და ვიზიტორებისთვის ამ ქალაქში ყოფნა. ამ საკითხებთან დაკავშირებით მერიის
პოზიცია საინტერესოა და რა ღონისძიებებია დაგეგმილი იმისათვის, რომ
ტურისტული სეზონი არ ჩავარდეს. ქალაქში მოსაგვარებელია: საცობები, ქალაქის
შემოსასვლელი, ჩაქვი, მახინჯაური, საბაგიროს მონაკვეთი, ჭავჭავაძის, რუსთაველის
და სხვა მათი მკვეთი ქუჩები, პარკირების-ადგილების პრობლემა, შეუძლებელია
მანქანის გაჩერება. ასევე მოსაწესრიგებელია ბულვარსა და ცენტრალურ უბნებში
ნარჩენების გატანის საკითხი, ასევე გადატვირთულია მუნიციპალური ტრანსპორტი.
მთავარია დღეს ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეთა კომფორტული გარემოს
შექმნა, ნებისმიერ ქუჩაზე ველობილიკებზე და ტროტუარებზე არის პარკირებები და
ამ მხრივ არის უმძიმესი სიტუაცია და გადაადგილებას ვერ ახერხებენ. ასევე ძველ
ბათუმში მოსაწესრიგებელია ფასადების და აივნების საკითხი, რადგან წარმოადგენს
საფრთხეს. უმრავლესობას მოუწოდა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ,
რომელიც ქალაქის მერთან ერთად იმუშავებს ამგვარ საკითხებზე და საკრებულოს
მთავრი ფუნქციის რეალიზებას შეუწყობს ხელს, რაც არის მაკონტროლებლის
ფუნქცია. 1 წელი გავიდა, რაც სასამართლოში შეტანილია განცხადება საკრებულოს
მიერ მიღებული განკარგულების გასაჩივრების თაობაზე ვადა, რომელსაც
მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძის მიერ ჯერ კიდევ არ განხილულა.

საკრებულოს წევრმა როსტომ ხალვაშმა განაცხადა, რომ სასიხარულოა მოსწავლეების დასწრება საკრებულოს სხდომაზე. დღეს არის თამბაქოს მოხმარებასთან ბრძოლის დღე და 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. მან აღნიშნა, რომ სკოლებში თამბაქოს მოხმარების აღმოფხვრის მიზნით უმჯობესია აიკრძალოს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე თამბაქოს ყიდვა-გაყიდვა.

საკრებულოს წევრმა ვაჟა დარჩიამ განაცხადა, რომ იგი ძირითადად პოლიტიკური სიტყვის დროს ეხმაურება მთავარ პოლიტიკურ მოვლენებს ქვეყანაში. მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას ცენტრალურ დონეზე ძალიან მოეწონა რუსეთის პრეზიდენტის პუტინის გადაწყვეტილება. უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უნდათ ევროპული მომავალი, თუმცა არ ახსენდება არც ერთი კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყანა. უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარეს დაუბველდა სოციალურ ქსელში კრემლთან ფოტოები და რადგან ფრენები აღდგა შეუძლია გააგრძელოს გადაღება.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ უპასუხა ვაჟა დარჩიას, რომ ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს პოლიტიკური პირი. რაც შეეხება მის სურათებს რამდენიმე წლის უკან იყო მსოფლიოს სამეცნიერო ინოვაციურ ფორუმზე, რომელზეც იყო სტუმრად ჩასული, რომლის ორგანიზატორები იყვნენ იტალიის, ჩინეთის და ისრაელის პრემიერ - მინისტრი.

საკრებულოს წევრმა ალექსანდრე ვარშალომიძემ განაცხადა, რომ კითხვები აქვს სამშენებლო ამნისტიციასთან დაკავშირებით, აინტერესებს ქალაქის მერი თუ დებულობდა კანონის განხილვაში მონაწილეობას, რაზედაც ქალაქის მერმა უპასუხა, რომ საკანონმდებლო კანონის მიღებაზე ინიციატივის უფლება ვის აქვს, ეს რომ იცოდეთ კარგი იქნება, თუმცა ალექსანდრე ვარშალომიძის აზრით, ეს კანონი კორუფციაზეა აგებული.

საკრებულოს წევრმა ნინო ცხვარაძემ შეახსენა ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაზეთ „აჭარის“ რედაქციის გაყიდვა.

საკრებულოს წევრმა თეონა ბერიძემ მიულოცა 19 მაისი მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს, სკოლის დამთავრება და ბოლო ზარი, წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ეს თაობა გახდება განვითარების მთავარი საძირკველი და მათ ექნებათ ცოდნა და უნარი, რომელიც დაეხმარებათ იცხოვრონ ბედნიერ, მშვიდობიან, განვითარებაზე დაფუძნებულ ქვეყანაში.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე შეუერთდა მილოცვას და კოლეგების შვილებსაც მიულოცა სკოლის პირველი ეტაპის დასრულება და წარმატებები უსურვა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა მიულოცა სკოლის დამთავრება და საუკეთესო მომავალი უსურვა. რაც შეეხება საკითხებს ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და ყოველდღიურ რეჟიმში ითხოვს ყურადღებას, მოვლას და პატრონობას. ხელვაჩაურის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, თუმცა რთული სიტუაციაა, როცა კლინიკებში პაციენტებისთვის შეუძლებელია მოძრაობა. მუნიციპალური ავტობუსები გადატვირთულია და შეუძლებელია ავტობუსში ასვლა, ამდენად რიგ ხაზებზე დასამატებელია ავტობუსები. ასევე შეეხო მაწანწალა ძაღლების პრობლემას, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. მან გამოითხოვა ინფორმაცია რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოდან ძაღლის კბენით გამოწვეულ მიმართვიანობის შესახებ, საიდანაც პასუხად მიიღო 4701 (თხი ასთას შვიდას ერთი) ადამიანის მიმართვიანობის თაობაზე. ქალაქი ტურისტული, ოსკარის მფლობელია და სასწრაფოდ

ღონისძიებებია გასატარებელი. მაქსიმალურად, გონივრულად მიაქციეთ ყურადღება ასეთი საკითხების გადაწყვეტას.

საკრებულოს წევრმა ნაზი ფუტკარაძემ ქალაქის მერს ურჩია, რომ 10 დღეში ერთხელ მაჟორიტარ საკრებულოს წევრებთან შეხვედრა, ქალაქის პრობლემების გასაცნობად. ასევე ისაუბრა პრობლემებზე, კერძოდ, მახიჯაურში, კონცელიძის ქუჩაზე სახლს უთხრის პირს მდინარე და გასამაგრებელია, ასევე ბაქრაძის ქუჩაზე ჯებირი ჩანგრეულია, გონიოს სანაპიროზე ბუნგალოების დანგრევის საკითხი გასარკვევია, როცა მოსახლეობა ტურისტულ სეზონს ელოდება.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე მიესალმა ახალგაზრდებს, რომლებმაც ცხოვრების პირველი ეტაპი გაიარეს და წარმატებები უსურვა. ის პირველ რიგში შეეხო ამნისტიის შესახებ კანონს, ეს პრობლემა წლებია წარმოიშვა ქალაქში. მაგ. მაზნიაშვილის ქ. 34-ის პრობლემას გადაწყვეტს ამნისტიის შესახებ კანონი. რაც შეეხება იმ საკითხებს, რომ არ მოხდეს ცუდი, ამის შესახებ ყველაფერი გაწერილია კანონში. მეორე საკითხი რაც ითქვა კორუფციის შესახებ, 2016 წლიდან ბათუმის პროგრამული ბიუჯეტი მოწონებას იმსახურებს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე საქართველოს მიერ და ყოველთვის პირველ ადგილზეა. მერიის სამსახურები მოქმედებენ საქართველოში არსებული შესყიდვების კანონით, რომელსაც აქვს წესი. შესყიდვების გვერდზე გაწერილია პირობები. მთა-ვარია არ ირღვევა კანონი და არც შეიძლება საუბარი კორუფციაზე. სიტყვა „კორუ-ფციას“ უმცირესობა მიზანმიმართულად პოლიტიკურად იყენებენ.

საკრებულოს წევრმა ლევან ცხიძემ ქალაქ ბათუმის მერს, მერიის სამსახურებს, სხვადასხვა უწყებებს მადლობა გადაუხადა ბრწყინვალე ღონისძიების, „ბათუმობის“ ჩატარებისთვის სოციალურ ქსელებში დადებითი გამოხმაურება აქვს და იმ ყბადაღებულ თემას თითქოს ბათუმელი შემსრულებლები არ მონაწილეობდნენ არ არის მართალი, რადგან 28 ბათუმელი, 4 ანსამბლი და ბიგბენდის შემსრულებელი მონაწილეობდა.

საკრებულოს წევრმა ბაჩი მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ ბათუმის პრობლემებზე საუბარი კარგი იქნება. შარტავას ქუჩა 11 ნომერში მდებარე რესტორნიდან „თამადა“ , მიტაცებული აქვს ტროტუარი, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე ამნისტიის შესახებ უხერხულობის გრძნობა უჩნდება, რადგან განხილვაზე ბათუმის მერი უნდა ყოფილიყო. ასევე გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე არის უკანონო მშენებლობა, სასტუმრო 12 სართულიანი, ამის შესახებ რა ღონისძიებები მიმდინარებს. მან მოითხოვა უკანონო მშენებლობების სია, რომლის დამტკიცებასაც აპირებენ. დღემდე მოუგვარებელია სამარშრუტო ტაქსებში გადასახადი 50 თეთრის ნაცვლად 70 თეთრის გადახდა ხდება.

საკრებულოს წევრი ილია ჯინჭარაძე შეეხო საგზაო უსაფრთხოებას. მან გასულ წელს საკრებულოს სხდომაზე ჩამოთვალა მოსახლეობის პრობლემები, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. მოსაწესრიგებელია გადამსვლელთა უსაფრთხოება, სიჩქარის შემზღვეველი ბარიერები, დამატებით მაფრთხილებელი ნიშნები. ამასთანავე ქალაქის ტერიტორიიდან გასაყვანია სატვირთო ავტომობილები, ტრაილერები. ამ საკითხებთან დაკავშირებით მოითხოვა დროული რეაგირება.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ სკოლის მოსწავლეებს მიულოცა სკოლის დამთავრება და უსურვა წარმატებები მომავალ ცხოვრებაში. ამაყია, რომ ამ ქალაქში ცხოვრობს და არჩილ ჩიქოვანი არის ქალაქის მერი. მადლობა გადაუხადა მერს, რომ ჰყავს შესანიშნავი გუნდი, ქალაქი არის ცოცხალი ორგანიზმი და ქალაქის ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებით მერიის სამსახურს, ვინც არ უნდა მიმართოს, არის მყისიერი რეაგირება. მერის კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა. ასევე ტურისტული

სეზონი იწყება, მომზადებული არიან და შეხვდებიან ისე, როგორც ბათუმს და ბათუმელებს შეჰყვებიან.

საკრებულოს წევრმა მამუკა ქობულაძემ სასაფლაოების თემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმყოფებოდა სამსახურის უფროსთან და ისაუბრა ჩაქვში გამოყოფილ 18 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, სადაც უნდა მოწყობილიყო სასაფლაოები, თუმცა ბუნებრივი მოვლენების გამო ჩამოიშალა მიწის მასა და დარჩა კონკრეტული რაოდენობა 10-12 ჰექტარი. ამ ეტაპზე საკმარისია ამოქმედდეს სასაფლაო და მოეწყოს ინფრასტრუქტურა. გაზრდილი ბიუჯეტი უნდა აისახებოდეს ქალაქის მაცხოვრებლების ყოფიერებაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი მიესალმა სტუმრებს, სკოლის მოსწავლეებს, კოლეგებს, განსაკუთრებით მე-12 კლასელებს მიულოცა სკოლის დამთავრება და უსურვა წარმატებები შემდგომ ცხოვრებაში. დარწმუნებულია ის თაობა, რომელიც მოდის დიდ პასუხისმგებლობას აიღებს მათ შორის სხვადასხვა მიმართულებით და იქნება წარმატებული ქალაქისთვის, რეგიონისთვისა და ქვეყნისთვის. ძალიან ბევრი წარმატება, რომელიც აქვს ქალაქს, ბევრ ბათუმელს, ქართველს და მეგობარს ახარებს, არ უხარია მხოლოდ მცირე ნაწილს საზოგადოებისა და ჩასაფრებულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში 5 ათასამდე ადამიანი შრომობს 24 საათიან რეჟიმში, რადგან ტურისტულ სეზონს ეხება ყველა ადამიანს მეუზოვედან დაწყებული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირამდე უნდა ჰქონდეს განცდა იმისა, რომ ჩვენი ქალაქი განვითარდეს, ახალი განვითარების სიბრტყეებზე უნდა ავიდეს და ის ტენდენციები, რაც ბოლო პერიოდში აქვს ქალაქს ტურისტული ოსკარი ორჯერ და მსოფლიო მასშტაბით ერთხელ. ბათუმი არის სპორტის ქალაქი, ევროპის კრეატიული და კულტურის ქალაქი, ეს არის საზოგადოების და დღევანდელი გუნდის, რომელიც მუშაობენ კარგი შედეგებით. რაც უფრო იზრდება საბიუჯეტო სახსრები, კონკრეტული ღონისძიებები ბუნებრივია მოვლა-შენახვის ნაწილში ტვირთები იზრდება. ყველა ის პროექტი და ინვესტიცია, რაც წინა ხელისუფლების მიერ განხორციელდა ქალაქში პრაქტიკულად იყო ლარად გასხვისებული ქონებით და ერთ პირთა მოლაპარაკებით. რაც შეეხება კონკრეტულ ღონისძიებებს დეტალურ პასუხს გაცემს. ყოველწლიურად საზღვაო ტურისტული სეზონი ქალაქისთვის არის მნიშვნელოვანი და ბუნებრივია იმ გამოწვევების ფონზე აქვს პრეტენზია, რომ იყოს ერთ-ერთი წარმატებული შესაბამისი ქალაქი. წელს ტურისტების მაღალ ზრდას ელოდებიან. მუნიციპალური ავტობუსების 10 ერთეულია შემოსასვლელი და განახლება ავტოტრანსპორტი. რაც შეეხება აივნების ავარიულობის საკითხს, სადაც მოქალაქეებს უწევთ ცხოვრება საფრთხის შემცველ გარემოში, ამიტომ განხორციელდება ავარიული სახლების პროგრამა. რაც შეეხება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს და დასუფთავებას მუნიციპალური სამსახურები შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. მალე შეემატება სანდასუფთავების სამსახურს ნაგავმზიდი მანქანები და ურნები. ამინისტიციასთან დაკავშირებით პირველი იყო თბილისი და სწორედ იგივეობრივი კანონპროექტში ცვლილებაა ბათუმზე. მაცხოვრებლები ცხოვრობენ ისეთ კორპუსებში, რომელიც ექსპლუა-ტაციაში არ არის მიღებული, რადგან კონკრეტულმა ინდივიდუალურმა პიროვნებამ ან მშენებელმა დაარღვია პირობა. ასევე მიუსაფარ ცხოველების ნაწილზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს გამოცხადებული ჰქონდა შესაბამისი შესყიდვა, თუმცა კომპანიამ ვერ უზრუნველყო წარმატებით განხორციელება და შეწყდა მასთან ხელშეკრულება პირგასამტეხლოების გადახდით. გონიოში აღებულ ბუნგალოებთან დაკავშირებით კანონის შესაბამისად გამოცხადდება აუქციონი. რაც შეეხება სასაფლაოებისთვის გამოყოფილ ადგილს ჩაქვში, აღნიშნული შეუსაბამოა სასაფლაოს მოწყობისთვის. ეს

საკითხი მტკივნეულია. დღეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ არსებობს ისეთი მიწის ნაკვეთი, სადაც მოეწყობა სასაფლაოსთვის ინფრასტრუქტურა და ამიტომ აჭარის მთავრობასთან, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან აქვთ კონსულტაციები.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ გამოაცხადა შესვენება 30 წთ.

სხდომა განახლდა 13.30 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდნენ: კ. ქაშიბაძე, მ. ქობულაძე, რ. ხარაზი, ა. ვარშალომიძე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“-ის განხორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მაია ზოიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის პროექტი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია აჭარის რეგიონში, რომლისთვისაც საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში 2007 წელს გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მიერ გამოიყო შეღავათიანი სესხი, რომელიც ითვალისწინებდა საგრანტო კომპონენტსაც, მისი განხორციელება დაიწყო 2008 წლის იანვარში. 2022 წელს დასრულდა პროექტის ოთხი ფაზა.

2022 წლის 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაფორმებული სასესხო შეთანხმების („ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)“) რატიფიცირება.

სესხის ოდენობა შეადგენს 53 მლ. ევროს და ასევე გამოყოფილია 2 მლ. ევროს გრანტი თანმდევი ღონისძიებებისთვის, ამავე პროექტის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დამატებით გაიღებს 25 მლნ. ევროს ხარჯებს.

პროექტის მიზანია: კომუნალური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყლის და წყალარინების სისტემების მოწყობა და გამართული ფუნქციონირება ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე, კერძოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგ ღონისძიებები: ადლიის წყალანირების გამწმენდი ნაგებობის გაფართოება; ა და ბ სატუმბო სადგურების გაფართოება; აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბრის დასახლებების წყალანირება; ინჯალოს წყლის სამარაგ რეზერვუარის, წყალსადენის და სასმელი მკვებავი ხაზის მშენებლობა; მეჯინის-წყლის ჭაბურღილების წარმადობის გაზრდა; ჩაქვის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია; ხელვაჩაურის და აეროპორტის წყალმომარაგების ქსელი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე დეტალურად ისაუბრეს, კარგი პროექტია და შემოერთებულ ტერიტორიას მიულოცა პროექტის განხორციელება.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ განაცხადა, რომ ამ საკითხზე განსხვავებული აზრი არ არსებობს და მიესალმება პროექტის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28
არ ესწრებოდა: 1(ა. გვიანძიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, ა. ბალაძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ნ.დუმბაძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია, ნ. ფუტყარაძე, ე.ზარია, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარაშვილი, თ. კავაზაშვილი)
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განისაზღვრება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შემთხვევის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გამოწერის, მისი აღსრულებისა და შეღავათით სარგებლობის პირობები.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებით განისაზღვრება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადებული იქნა აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი, რომლითაც განისაზღვრება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125³ მუხლით, 135-135¹ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125³ მუხლით, 135-ე-135¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ე ვ ს:

საკრებულოს წევრმა ირაკლი თავდგირიძემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობაში ადრე იყო პრობლემა მიტოვებული მანქანების გადაყვანის თაობაზე, რადგან არ ჰქონდა ნომრები და ვერ ახდენდნენ ადმინისტრირებას და საპატრულო პოლიციაც გაჩერებულ მანქანაზე ვერ მოქმედებდა, დღეს რა ცვლილებებია ამ მხრივ?. მომხსენებელმა განმარტა, რომ განხორციელებული ცვლილებებით ვერ ხდება საჯარიმო ქვითრის შედგენა. იდენტიფიცირების შემდეგ ხდება საჯარიმო სადგომზე საჯარიმო ქვითრის შედგენა, შესაბამისად მეპატრონეს დაერიცხება დგომის თანხა.

საკრებულოს წევრის ირაკლი თავდგირიძის განმარტებით მუნიციპალიტეტში არის რიგი პრობლემები, მაგალითად ავტომობილის მიტოვება, აღმაშენებლის ქუჩაზე თვითნებურად კეთდებოდა ავტობაზარი, სადაც ნომერს ხსნიდნენ და სამართლებრივად გადაყვანა ვერ ხერხდებოდა. საპატრულო პოლიციაც ვერ რეაგირებდა, რადგან კანონდარღვევა არ იყო. ამას მოყვებოდა მოქალაქეებისგან პრობლემები.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის ილია ჯინჭარაძის მიერ დაისვა საკითხი გაჩერებული ტრაილერების თაობაზე, რომლის რეაგირება უნდა მოხდეს ტურისტული სეზონისთვის.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ მადლობა გადაუხადა კარგი საქმისთვის.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ელექტრონულ გვერდზე მოხდება საჯარო ქვითრის გამოქვეყნება და ავტომატურ რეჟიმში მყისიერად ფიქსირდება ვებ-გვერდზე.

საკრებულოს წევრის ნოდარ დუმბაძის განცხადებით კარგია აღნიშნული პროექტის დაკონკრეტება და ცვლილებების შეტანა ციფრულ ჯარიმებში. პარკირების დაჯარიმების პროგრამა დღეის მდგომარეობით არ მუშაობს, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მუშაობს პრობლემის აღმოფხვრაზე, სერვერი ავტომატურად შერწყმულია ბათუმის ავტოტრანსპორტის პროგრამასთან.

საკრებულოს წევრმა როსტომ ხალვაშმა დასვა კითხვა საცხოვრებელი სახლის ეზოებში მიტოვებულ ამორტიზირებულ ავტომობილების გაყვანასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებლის განმარტებით კერძო საკუთრებაში, სადაც ამხანაგობაა ამ ნაწილში მუნიციპალიტეტი ვერ გადაიყვანს, რაც შეეხება საავტომობილო გზაზე მიტოვებულ მანქანებს ამ შემთხვევაში ხდება რეაგირება.

საკრებულოს წევრმა ასლან ბალაძემ აღნიშნა, რომ ანგისის ტერიტორიაზე არის ბათუმის დინამოს ბაზა, სადაც საგანგაშო მდგომარეობაა, გამომდინარე იქედან, რომ ბათუმის დინამოს კლუბი 30-35 მანქანით შედის და ირღვევა საგზაო უსაფრთხოება, სადაც დგას გასაყვანი ტრაილერები.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

არ ესწრებოდა: 1(ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ა.გვიანიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, ა. ბალაძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ნ.დუმბაძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ. ფუტკარაძე, ე.ზარია, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარაშვილი, თ. კავაზაშვილი)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „აჭარის ფეხბურთის ფედერაცია“-სათვის სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N17-05/23; N10/142313719-14; 17.05.2023წ.) მომართა ა(ა)იპ „აჭარის ფეხბურთის ფედერაციამ“ და განმარტავს, რომ ფედერაციის მიერ განხორციელებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი მოზარდი იღებს მონაწილეობას. ქვეყანაში ფეხბურთი არნახული პოპულარობით სარგებლობს. სპორტის ამ სახეობის პოპულარობას ხელი შეუწყო ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა. აჭარის ფეხბურთის ფედერაცია ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ სპორტის სახეობისა და ზოგადად ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის პოლიტიკას ახორციელებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს ქალაქ ბათუმში მდებარე ე.წ. ურების სტადიონი და დამხმარე შენობები (ადმინისტრაციული) (საკადასტრო კოდები: 05.31.05.318; 05.31.05.098) საფეხბურთო ცენტრისა და ადმინისტრაციული ოფისების მოწყობის მიზნით გადაეცეს ა(ა)იპ „აჭარის ფეხბურთის ფედერაციას“ (ს/კ 245434819) სარგებლობაში, სიმბოლურ, 500 (ხუთასი) ლარად, 10 (ათი) წლის ვადით. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფედერაციის მიერ მოწყობილი იქნება უეფა (UEFA)-ს სტანდარტების ფეხბურთის მოედანი შესაბამისი ინფრასტრუქტურით და პირობებით, რაც დაკავშირებულია მათი მხრიდან მნიშვნელოვანი ხარჯების გაღებასთან. სპორტულ მოედანზე წვრთნებს გაივლიან, როგორც აჭარის საფეხბურთო ნაკრები გუნდები, ქალაქ ბათუმის მერიის მიერ დაფუძნებული ქალთა საფეხბურთო გუნდი(ები) და ასევე რეგიონში არსებული ბავშვთა საფეხბურთო სკოლები (კლუბები).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია სპორტულ - გამაჯანსაღებელი მიმართულების, ფეხბურთის განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით ა(ა)იპ „აჭარის ფეხბურთის ფედერაცია“-ს სიმბოლურ ფასად, 10 წლის ვადით სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცეს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ.ბათუმში, ურებში მდებარე 8675,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სპორტული მოედანი) და მასზე განთავსებული 68,20 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი N05.31.05.318) და მომიჯნავედ მდებარე 140,0 კვმ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 68,68 კვმ შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი N05.31.05.098). გამომდინარე იქედან, რომ მოედნის და შენობის მოწესრიგება/მოწყობა დაკავშირებულია ა(ა)იპ „აჭარის ფეხბურთის ფედერაცია“-ს მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევასთან, სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს სიმბოლური 500,0 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

აზრი

გამოთქვებს:

საკრებულოს წევრმა ასლან ბალაძემ აღნიშნა, რომ მომრავლდა ბავშვთა სპორტული სკოლები, გამომდინარე აქედან კარგი იქნება ფეხბურთის ფედერაციისთან დროული მოგვარება.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე მიესალმება ასეთ ინიციატივას, იმიტომ რომ ზოგადად რაც მეტი სპორტული ინფრასტრუქტურა ექნება ქალაქს, მით უფრო უკეთესი მომავალი თაობისთვის. მერიის საკუთრებაში სამრეწველო ადმინისტრაციაში, სადაც მზადაა ერთ-ერთი კლუბი, რომელიც ავარჯიშებს ბავშვებს, ეს იგივე პირობებით მიიღოს ან განახორციელოს ინვესტიცია, გააკეთოს სტადიონი და ავარჯიშოს ბავშვები. გამომდინარე აქედან რა გზა უნდა გაიაროს ადამიანმა იმისათვის, რომ იგივე სერვისით სარგებლობა შეძლოს, როგორც ამას ახერხებს კონკრეტულად ეს კლუბი.

მომხსენებლის განმარტებით შესასწავლია პირველად ადგილმდებარეობა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

აჭარის ფედერაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აჭარაში დღეის მდგომარეობით 3500-ზე მეტი ბავშვია ფეხბურთში ჩართული და მოგეხსენებათ ფეხბურთთან დაკავშირებით დიდი აჟიოტაჟია მსოფლიო მასშტაბით და დიდი პასუხისმგებლობით სარგებლობს. აჭარაში 12 კლუბზე მეტია, სადაც ბავშვები ვარჯიშობენ და რომელთა უმეტესობას სავარჯიშო პირობები არ აქვს. აქედან გამომდინარე ეს საშუალებას მისცემს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად მოწესრიგდეს შესაბამის სტანდარტებში და აღნიშნულ სკოლებში მოეწყობა ინფრასტრუქტურა ფეხბურთის ფედერაციის მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

არ ესწრებოდა: 1 (ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ა.გვიანიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, ა. ბალაძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ნ.დუმბაძე, ლ.დოლოძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ.დარჩია, ნ. ფუტყარაძე, ე.ზარია, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარაშვილი, თ. კავაზაშვილი)

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტო-ციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტრო-ტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და დადგენილების ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 28 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 2023 წლის 28 აპრილს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N9 დადგენილებით შეჩერდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტრო-ტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილების პირველი მუხლის მოქმედება 2024 წლის 1 იანვრამდე.

ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის შეჩერება უნდა მომხდარიყო მხოლოდ მე-2 პუნქტის ნაწილში. გამომდინარე აქედან, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტრო-ტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილების პირველი მუხლის მოქმედება შეჩერდეს მხოლოდ მე-2 პუნქტის ნაწილში.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტრო-ტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და დადგენილების ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 28 აპრილის №9 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.mats-ne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 03/05/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016582) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

შეჩერდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილების (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 11/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016429) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება 2024 წლის 1 იანვრამდე.“.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ილია ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ველობილიკზე მოძრაობის მხრივ ქაოსია, რადგან მოძრაობს ველოსიპედისტი, დარბის სპორტსმენი და გადადის ქვეითი, ამიტომ უმჯობესია კონკრეტული ადგილის გამოყოფა შესაბამისი მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28

არ ესწრებოდა: 1(ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ა.გვიანიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, ა. ბალაძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ნ.დუმბაძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ. ფუტყარაძე, ე.ზარია, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარაშვილი, თ. კავაზაშვილი)

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს:

საკითხი 5. „განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ქალაქის ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით; სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება; ტერიტორიის მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა; ეკონომიკის დარგების მათ შორის სამშენებლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა; კერძო ინტერესები: გეგმარებითი ერთეულზე განთავსებული მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება; ადამიანისათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს და პირობების შექმნა; ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო პირობების შექმნა და შენარჩუნება; ეკონომიკური საქმიანობის განვითარება; სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება; სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა; ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა გულისხმობს როგორც, გეგმარებით ერთეულში საზოგადოებრივ ინტერესებით განპირობებულ ინფრასტრუქტურული, თუ სხვა სახის გაუმჯობესების (კეთილმოწყობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის და მსგ.)

ლონისძიებებს, ასევე მაკომპენსირებელი ღონისძიებებს. კოდექსის თანახმად კ1/კ2 ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება უნდა კომპენსირდებოდეს სხვა ღონისძიებებით. მაკომპენსირებელი ღონისძიება მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ორიენტირებული უნდა იყოს გეგმარებითი ერთეულის შიდა მოთხოვნილებებზე, ხოლო ამგვარის შეუძლებლობის (მაგ. ფიზიკური გარემოს არასაკმარისი შესაძლებლობები) შემთხვევაში - დასაშვებია მისი დაბალანსება მუნიციპალიტეტ-ტისთვის საცხოვრებელი ერთეულების ან კომერციული დანიშნულების უძრავი ნივთის გადაცემით, თანაზომადი ოდენობის ფართობით, თუმცა არანაკლებ გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი კ 1 / 2 მაჩვენებლის 10 %-სა. ინვესტორი კომპანია შპს „ჯი.არ.აი“ გამოთქვამს მზადყოფნას, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს გადასცეს განაშენიანების ინტენსივობის გაზრდილ და დადგენილ კოეფიციენტებს შორის სხვაობით მიღებული საცხოვრებელი ფართის 10%, საცხოვრებელი ბინის სახით. გადასაცემი ფართი დაზუსტდება ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შედეგად.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ე ვ ს:

საკრებულოს წევრის ნოდარ ღუმბაძის განმარტებით ჩაუბარებელ საცხოვრებელ სახლებში არ უნდა შესულიყვნენ მოსახლეობა. დღეს კანონით ზონირების მიხედვით არის დადგენილი 3,5 კოეფიციენტი.

საკრებულოს წევრმა მინდია გოგუამემ აღნიშნა, რომ 62 ოჯახს ეძლევა საცხოვრებელი სახლი, 31 ოჯახი პირდაპირ ვალდებულებას იღებს 10 %-ს და ბარაკულ სახლებს აკმაყოფილებს.

სხდომის თავმჯდომარის, რამაზ ჯინჭარაძის განცხადებით ამ პრობლემის მოგვარება ოჯახებისთვის მნიშვნელოვანია.

საკრებულოს წევრმა ბაჩი მექვაბიშვილმა დასვა კითხვა კონკრეტულ ტერიტორიაზე სართულიანობის თაობაზე, რაზედაც მომხსენებლის განმარტებით აშენდება 32 სართულიანი საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს წევრმა თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ქალაქში არის ბევრი ისეთი უბანი, რომელთა პრობლემები წლებია მოუგვარებელია. პრობლემის მოსაგვარებლად იღებს კონკრეტულ ვალდებულებას და კონკრეტულ სტრატეგიულ მიმართულებას. ამ პრობლემის სტრატეგიული გადაწყვეტა სახელმწიფოს რომ ჰქონდეს დაუჯდებოდა მილიარდობით ლარი, შესაბამისად ერთ-ერთი გზაა ბიზნეს სექტორის ჩართვა და დაინტერესება. რთული დასათვლელი არაა რა უჯდება იმ ტერიტორიის აღება და მოლაპარაკება, ხალხის გაყვანა და ქირის გადახდა. მადლობა გადაუხადა მერიის სამსახურს ასეთი მუშაობისთვის.

საკრებულოს წევრმა თეკლა კავაზაშვილმა დასვა კითხვა საპარკინგე სივრცის ადგილების გამოყოფის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მიწისქვეშა პარკინგია გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 27
არ ესწრებოდნენ: 2(ა. გვიანიძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა: 9 (ნ. დუმბაძე, ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „უნივერსამმა“ (ს/კ445614041) წინადადებით, რომ სურვილი აქვს ქალაქ ბათუმში მელიქიშვილის ქ. N42-ში მდებარე N05.27.14.003 „ბარაკული ტიპის“ ავარიული (დადასტურებული შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება, ამავდროულად უმაღვე (ამ

განკარგულებით გათვალისწინებულ პროექტზე ნებართვის აღებამდე) უზრუნველყოფს ამ სახლში მცხოვრებლების დაკმაყოფილებას (წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), შესაბამისად ამ მიზნით ითხოვს შესაბამისი ხელმშეწყობი ღონისძიების გამოყენებას სხვა ტერიტორიაზე - ქალაქ ბათუმში პუშკინის ქ. N132ბ/132გ/132დ-ში 05.27.14.086) და მელიქიშვილის ქ. N42-ში 05.27.14.003); სადაც არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, შესაბამისად პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამოდენიმე მიზანი.

ა) მოხდება ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N42-ში მდებარე N05.27.14.003 მდებარე „ბარაკული ტიპის“ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება.

ბ) ქალაქ ბათუმში; პუშკინის ქ. N132ბ/132გ/132დ-ში 05.27.14.086) და მელიქიშვილის ქ. N42-ში 05.27.14.003), სადაც არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადა-

მეტემა, კოეფიციენტის გაზრდა 17,0-მდე. აღნიშნულის სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად უმაღლეს საკუთრებაში გადაეცემა შენობანაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა სასარგებლო ფართობის სახით უნდა დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებული უნდა იქნეს სოციალური მიზნით, მათ შორის, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 27
არ ესწრებოდნენ: 2(ა. გვიანიძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა: 9 (ნ. დუმბაძე, ნ. ფუტყარაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ვ. დარჩია, თ. კავაზაშვილი, ქ. ლასტაკანიძე, ი. ჯინჭარაძე, ე. ზარია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე